საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/15

ქ.თბილისი

„22" ივნისი 2015 წ.

„ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

ა) ელისო ასანიძე - კომისიის წევრი (ჯგუფის ხელმძღვანელი);
ბ) ეკატერინე ჭახრაკია - სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
გ) ქეთევან რეხვიაშვილი - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
დ) მარიკა არუშიძე - მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ე) თამარ მარღანია - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
ვ) ქეთევან სულიაშვილი - რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის სპეცილისტი;
ზ) დავით ქუთათელაძე - კონკურენციის ხელშემწყობი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
თ) ციალა უჯმაჯურიძე - ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ი) თამთა ტეფნაძე - მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი;
კ) ქეთევან გუნიავა - საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწე;
ლ) ნათია ფანგანი - საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწე;
მ) ალექსანდრე მშვილდაძე - საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწე;

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს:

ა) განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
ბ) „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და შენიშვნების წარმოდგენა;
გ) საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით საერთაშორისო გამოცდილების იმპლემენტაციის მიზნით ხედვებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
დ) ევროდირექტივებით განსაზღვრულ რეგულაციებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება და კომისიისათვის წარდგენა;
ე) „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის კომისიისთვის წარდგენა.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 1 დეკემბრამდე;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თამთა ტეფნაძეს (მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი);

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე